ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1542937

ნომერი: AR1256194

თარიღი : 07.10.2014

გაცემის თარიღი : 17.10.2014

გაცნობის თარიღი : 17.10.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი გურამიშვილი , N 2/9 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გურამ ლემონჯავა პ/ნ 01030037214
- თბილისი ე.ნინოშვილის ქ. N 47

ორგანიზაცია:
- შპს "ფურშეტ ჯორჯია" კოდი: 404415897

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ:

1. მოთხოვნის ტექსტში ვრცლად განიმარტოს ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ ინფორმაცია, მიუთითეთ კინოთეტრში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ხანგრძლივობა (გაითვალისწინეთ, რომ სარეკლამო აბრების მოწყობა დასაშვები იქნება მხოლოდ დროებითი სტატუსით).

2. წარმოადგინეთ კარგი ხარისხის არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები და მათ საფუძველზე დამუშავებული მაღალი ხარისხის ფოტომონტაჟები. აქვე გაითვალისწინეთ, რომ სარეკლამო აბრა უნდა განთავსდეს კოლონებს შორის არსებულ კონსტრუქციაზე.

3. ვინაიდან AR1256192 განცხადებით დაყენებულია იგივე მოთხოვნა, აბრის სხვა არეალში განთავსებაზე, საჭიროა სამსახურის წინაშე ფასადზე სარეკლამო აბრების მოწყობის საკითხი დააყენოთ მხოლოდ ერთი განაცხადით და აიტვირთოს ერთიანობაში დამუშავებული განახლებული ფოტომონტაჟი.

4. დამატებით წარმოსადგენია სარეკონსტრუქციო ფართის მესაკუთრის, შ.პ.ს. "მერიდიანი XXI"-ის დირექტორის თანხმობა (დამოწმებული შესაბამისი ფორმით), სარეკლამო აბრების მოწყობასთან დაკავშირებით.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.